

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ინფორმაციის ტექნოლოგია“-ს (მე-3 დონე, დუალური მიდგომით) შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ინფორმაციის ტექნოლოგია“-ს (მე-3 დონე), საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა

1. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულ სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები (თეორიული და პრაქტიკული).
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობა არის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც ამთავრებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.
4. საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩააბარა შუალედური გამოცდა და სრულყოფილად აქვს შევსებული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.
5. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
6. საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დადასტურებული რამდენიმე დარგობრივი უნარის დემონსტრირებას.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები უნდა მოიცავდეს:
 - ა) დავალების/დავალებების შინაარსს;
 - ბ) დავალების შესრულების დროს;
 - გ) შეფასების კრიტერიუმებს;
 - დ) დავალების შესრულების პირობებს;
 - ე) ასევე მის განკარგულებაში უნდა იყოს ყველა მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა კონკრეტული დავალების შესასრულებლად.
8. კვალიფიკაცია მინიჭებულად ჩაითვლება, თუ პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასება საკვალიფიკაციო გამოცდის თითოეულ კომპონენტში (თეორია და პრაქტიკა) 100 ქულიანი სისტემით, ჯამში შეადგენს 52 ქულას ან მეტს.

მუხლი 3. შუალედური გამოცდა

1. შუალედური გამოცდის მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ემსახურება სასწავლო პროცესის/სასწავლო გეგმის კორექტირებასა და გაუმჯობესებას.
2. შუალედური გამოცდის შედეგები არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველს და მოიცავს იმ ცოდნისა და უნარების შეფასებას, რომლებიც მიღწეულია შესაბამისი გამოცდის ჩატარებამდე.
3. შუალედური გამოცდა ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე.
4. შუალედურ გამოცდაზე მონაწილეობა წარმოადგენს დასკვნით/საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.
5. შუალედური გამოცდა შედგება პრაქტიკული და თეორიული ნაწილებისაგან.
6. თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩატარება ხდება შესაბამის გარემოში სხვადასხვა დღეს.
7. გამოცდის პრაქტიკული ნაწილი გრძელდება არა უმეტეს სამი საათისა. პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მას შეუძლია ზეპირად ან წერილობით სამუშაოს დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების და მასალების შერჩევა და დავალების შესრულება. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას შრომის უსაფრთხოების, ენერჯისა და მასალების რაციონალური გამოყენების საკითხები.

8. თეორიული გამოცდის დავალებების შესრულების ხანგრძლივობა გათვალისწინებულია არა უმეტეს 90 წუთისა.
9. პროფესიული განათლების მასწავლებელი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, ადგენს შესაბამისობას შესრულებულ სამუშაოებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს/შესრულების კრიტერიუმებს შორის და თანამშრომლობს კომპანიის ინსტრუქტორთან.
10. შუალედური შეფასების შედეგები ფორმდება დაკვირვების პროცესის შეფასების ინსტრუმენტის (ჩეკლისტი)/წერიტი დავალების სახით.
11. შეფასებას ახორციელებენ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი და კომპანიის ინსტრუქტორი პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალისა და ინსტრუქტორის დაკვირვების (ჩეკლისტი)/წერიტი დავალების საფუძველზე, თითოეული პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისობის შემოწმების გზით.
12. ჩეკლისტში შესრულებული კრიტერიუმების დადასტურება ხდება კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლისა და კომპანიის ინსტრუქტორის ხელმოწერით.
13. შუალედური შეფასების განხორციელების მიზნით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი და კომპანიის ინსტრუქტორი უფლებამოსილნი არიან განახორციელონ:
 - ა) ჩანაწერების ჟურნალის და შეფასების ინსტრუმენტების შესწავლა;
 - ბ) პროფესიული სტუდენტების, კომპანიის ინსტრუქტორების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვა/ინტერვიუება;
 - გ) სხვა ღონისძიებების განხორციელება.
14. შუალედური შეფასების შედეგების საფუძველზე შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები იღებენ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას;
 - ა) სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საჭიროების ან შესაბამისობის შესახებ;
 - ბ) პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.

მუხლი 4. საკვალიფიკაციო გამოცდის კომპონენტები

1. საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისაგან.
2. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით და მათი ჩატარება ხდება შესაბამის გარემოში სხვადასხვა დღეს.
3. თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩატარების ვადების განსაზღვრა ხდება განმახორციელებელ მხარეებთან წინასწარი შეთანხმებით.
4. თეორიული გამოცდის ჩატარება ხდება პრაქტიკულ გამოცდამდე.
5. დროის შუალედი თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას შორის არ უნდა აღემატებოდეს 3 კვირას.

მუხლი 5. თეორიული კომპონენტი

1. თეორიული გამოცდა ტარდება კოლეჯში.
2. თეორიული დავალება ფასდება 50 ქულიანი სისტემით.
3. თეორიული კომპონენტის ორგანიზებას და განხორციელებას ახდენს სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ შპს „სქაი ჰაი“-სთან თანამშრომლობით.
4. თეორიული საგამოცდო საკითხების შემუშავება ხდება წინასწარ, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შპს „სქაი ჰაი“-სთან თანამშრომლობით.
5. საგამოცდო საკითხები შემუშავება ხდება გავლილი პროფესიული მოდულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით;
6. პროფესიულ სტუდენტს საკვალიფიკაციო გამოცდის (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის) ჩატარების, საგამოცდო თემატიკის, პროცედურისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ეცნობება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
7. თუ შესრულებული დავალება 26 ქულაზე ნაკლებით შეფასდა, კანდიდატი არ დაიშვება პრაქტიკულ გამოცდაზე.

მუხლი 6. პრაქტიკული კომპონენტი

1. პრაქტიკული კომპონენტის გამოცდის ჩატარება ხდება სასწავლო საწარმოში (კომპანია).
2. პრაქტიკული გამოცდის საკითხებს შეიმუშავებენ კომპანიის ინსტრუქტორები, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების კოორდინირებით.
3. საგამოცდო საკითხების შემუშავება მოხდება გავლილი პროფესიული მოდულების და სწავლის შედეგების მიხედვით.
4. პრაქტიკული გამოცდა ფასდება 50 ქულიანი სისტემით.

5. პრაქტიკული გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა გადალახა 26 ქულა.
6. პრაქტიკულ გამოცდას დაკვირვების მიზნით შესაძლოა ესწრებოდნენ დამკვირვებლები შპს „სქაი ჰაი“-დან/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან.

მუხლი 7. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

1. თეორიული და პრაქტიკული საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს გამოცდის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში წერილობითი ფორმით ან ელ. ფოსტის საშუალებით.
2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 2 დღის ვადაში წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შპს „სქაი ჰაი“-სა და კოლეჯში.
3. საჩივრის განხილვის მიზნით შპს „სქაი ჰაი“ და კოლეჯი ქმნის კომისიას (მინიმუმ 3 წევრისგან), რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისი დარგის მოწვეული ექსპერტი ან სპეციალისტი.
4. შპს „სქაი ჰაი“ და კოლეჯი ვალდებული არიან 2 დღის ვადაში განიხილონ საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობონ საჩივრის ავტორს; კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს დავალება, დატოვოს იგივე შეფასება ან დაწეროს უფრო მაღალი ან დაბალი ქულა.
5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 8. გამოცდის აღდგენის პროცედურები

1. დაუშვებელია შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. გაცდენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შუალედურ/საკვალიფიკაციო გამოცდაში გაუფორმდება „არ გამოცხადდა“.
2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შუალედური/საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში გამოცდის დაწყებამდე აცნობოს კოლეჯსა და შპს „სქაი ჰაი“-ს გაცდენის მიზეზი, ხოლო დამატებით შუალედურ ან საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლებით ისარგებლოს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული რეგულაციით.

მუხლი 9. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კომპანიაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოოს ჩანაწერების ჟურნალი.
2. ჩანაწერების ჟურნალი პროფესიული სტუდენტის მიერ უნდა ივსებოდეს რეგულარულად.
3. ჩანაწერების ჟურნალს პერიოდულად ამოწმებს (არანაკლებ კვირაში ერთხელ) და ჩანაწერების ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებს კომპანიის ინსტრუქტორი.
4. ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებას საწარმოში/კომპანიაში.
5. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულებისათვის ჟურნალი წამოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველს.
7. ჩანაწერების ჟურნალის ფორმას შეიმუშავებს დაწესებულება და პარტნიორი საწარმო/კომპანია კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის.
8. ჩანაწერების ჟურნალის წარმოების მონიტორინგს (სრულფასოვნად შევსების კუთხით) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი.